Immigratie- en Naturalisatiedienst
Ministerie van Justitie en Veiligheid

რას ნიშნავს თქვენთვის შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება?

თქვენ მიიღეთ მხოლოდ შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება. ან შესვლის აკრძალვა და გაფრთხილების გადაწყვეტილება. თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, თუ რატომ გაიცა თქვენზე შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება. მოცემულ ბუკლეტში წაიკითხავთ თუ რას ნიშნავს თქვენთვის შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება.

1. რას ნიშნავს შესვლის აკრძალვა?
2. რას ნიშნავს გაფრთხილების გადაწყვეტილება?
3. რამდენ ხანს გაგრძელდება შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება?
4. რას ნიშნავს გაფრთხილება საინფორმაციო სისტემაში?
5. როდის წაიშლება თქვენი მონაცემები SIS ან E&S საინფორმაციო სისტემებიდან?
6. რა ხდება იმ დროს, როდესაც ნიდერლანდებში იმყოფებით მიუხედავად იმისა, რომ შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილება გაქვთ მიღებული?
7. რა უნდა გააკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილებას და ან გაფრთხილების გადაწყვეტილებას?
8. როდის შეგეძლებად ისევ ნიდერლანდებში მგზავრობა?
9. როგორ მოითხოვთ შესვლის ან გაფრთხილების გადაწყვეტილების (დროებითი) გაუქმებას?
10. შეკითხვების შემთხვევაში რა უნდა გააკეთოთ?

1. რას ნიშნავს შესვლის აკრძალვა?

შესვლის აკრძალვით თქვენ გარკვეული პერიოდის განმანვლობაში არ გაქვთ უფლება იმოგზაუროთ ან იყოთ ევროკავშირის (EU), ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) და შვეიცარიის ქვეყნებში. წაიკითხეთ და გაეცნეთ თუ რა არის ევროკავშირის/EEA-ს ქვეყნები www.ind.nl/eueer და www.ind.nl/en/eueea ყველა ამ ქვეყანას ჩვენ შემდგომში ევროკავშირად მოვიხსენიებთ. შესვლის აკრძალვა არ ვრცელდება ირლანდიაზე.

შესვლის აკრძალვას ღებულობთ თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გაქვთ მიღებული უკან დაბრუნების გადაწყვეტილება. ეს არის გადაწყვეტილება სადაც მითითებულია, რომ თქვენი გაჩერება ნიდერლანდებში დაუშვებელია და ევროკავშირი უნდა დატოვოთ. თქვენ უნდა დაბრუნდეთ იმ ქვეყანაში, რომელიც მოხსენებულია უკან დაბრუნების გადაწყვეტილებაში. ან ევროკავშირის გარე ქვეყნებში (ირლანდიის გარდა) სადაც თქვენ გაჩერების უფლება გაქვთ.

2. რა ნიშნავს გაფრთხილების გადაწყვეტილება?

გაფრთხილების გადაწყვეტილება შესვლაზე აკრძალვის გადაწყვეტილებას ჰგავს. გაფრთხილების გადაწყვეტილების მიღების გამო, თქვენთვის ევროკავშირის ქვეყნებში მგზავრობა ან გაჩერება დაუშვებელია. შესაძლო თქვენ შემთხვევაში გაფრთხილების გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ ნიდერლანდეს. თქვენ ღებულობთ გაფრთხილების გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში თუ საფრთხეს უქმნით საზოგადოებრივ წესრიგს ან ეროვნულ უსაფრთხოებას.

3. რამდენი ხნით არის ძალაში შესვლის აკრძალვა და ან გაფრთხილების გადაწყვეტილება?

შესვლის აკრძალვა და ან გაფრთხილების გადაწყვეტილების ხანგრძლივობა არის დამოკიდებული თქვენ პირად მდგომარეობაზე. თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ხანგრძლივობა მითითებულია.

შესვლის ან გაფრთხიელების გადაწყვეტილების ხანგრძლივობა იწყება ევროკავშირის დატოვების დღიდან. იმ შემთხვევაღი თუ გაფრთხილების გადაწყვეტილება მხოლოდ ნიდერლანდებში მოქმედებს, ხანგრძლივობის ვადა იწყება თქვენი ნიდერლანდების დატოვების შემდეგ. თუ IND-ში ცნობილია რომ თქვენ ევროკავშირის ქვეყნები და ან ნიდერლანდები დატოვეთ, ამ შემთხვევაში შეჩერდება შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილება, როგორც კი დასრულდება პერიოდი. ამ შემთხვევაში ეს გაფრთხილება ომოღებული იქნება საინფორმაციო. ამის შემდეგ თქვენ ისევ შეგეძლებად ევროკავშირის ქვეყნებში ან ნიდერლანდებში მგზავრობა. IND-მ მხოლოდ მაშინ დარწმუნდება იმაში რომ თქვენ

ნამდვილად დატოვეთ ნიდერლანდები, გაფრთხილების გადწყვეტილების გაუქმების განაცხადის შეტანის დროს. მე-4 კითხვის ქვეშ წაიკითხეთ თუ რას ნიშნავს გათრთხილება საინფორმაციო სისტემაში.

4. რას ნიშნავს გაფრთხილება საინფორმაციო სისტემაში

თქვენს შესახებ საინფორმაციო სისტემაში არის შეტანილი ინფორმაცია შესვლის აკრძალვის ან გაფრთხილების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. იდენტიფიცირება ან შეტყობინება ნიშნავს რომ ხელისუფლება თქვენ პირად მონაცემებს საინფორმაციო სისტემაში შეაქვს. აქედან გამომდინარე მესაზღვრეებს და პოლიციას საინფორმაციო სისტემაში ხედავენ იმას რომ თქვენ შესვლის აკრძალვის ან გაფრთხილების გადაწყვეტილება გაქვთ მიღებული. შემოწმების შემდეგ მათ შეუძლიათ საზღვარზე გაგაჩერონ. ამ შემთხვევაში ქვეყანაში შესვლა გეკრძალებათ. გადაწყვეტილებაში მინიშნულია ის თუ რომელ სისტემაში ხართ იდენტიფიცირული.

არსებობს 2 სისტემა:

- Executie & Signalering (E&S): ეს არის ნიდერლანდური პოლიციის და სამეფო ნიდერლანდების მესაზღვრეების იდენტიფიკაციის საინფორმაციო სისტემა.
- შენგენის საინფორმაციო სისტემა(SIS): ეს არის ევროპული სისტემა, რომლის გამოყენება შეუძლიათ შენგენის ქვეყნების მესაზღვრეებს და პოლიციას. შენგენის ქვეყნების შესახემ ინფორმაციას მოიპოვებთ IND-ის ვებგვერდზე: www.ind.nl/schengengebied ან www.ind.nl/schengenarea.

თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთ სისტემაში გამოვლინდეთ. გაფრთხილება SIS- სისტემაში შესვლის აკრძალვაზე ან დაბრუნების გადაწყვეტილებისა ან და გაფრთხილების გადაწყვეტილებისა.

პირველი გაფრთხილება უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით

შეტყობინება შესვლის აკრძალვასთან დაკაბშირებით არ გაიცემა დაუყოვნებლივ. როგორც წესი პირველ რიგში თქვენი მონაცემები SIS - საინფორმაციო სისტემაში გამოვლინდება უკან დაბრუნების გადაწყვეტილება. დატოვებთ ევროკავშირს და ინფორმირებულია IND ამის შესახებ? შეიცვლება თქვენი გაფრთხილების გადაწყვეტილება შესვლის აკრძალვასთან დაკავშირრებით. თქვენ აღარ გაქვთ უფლება ევროკავშირის ქვეყნებში მგზავრობის და ამ ქვეყნებში გაჩერების. დამატებითი ინფორმაცია იდენტიფიცაციის ან უკან დაბრუნების საკითხებთან დაკაბშირებით იხილეთ IND-ს ვებგვერძე: www.ind.nl/nl/terugkeerbesluit of www.ind.nl/en/return-decision.

იდენტიფიკაციის და შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ გადრთხილების გაცემის გადაწყვეტილებას. ასევე შესაძლებელია გადაწყვეტილება, რომელიც გაფრთხილებას და შესვლის აკრძალვას შეიცავს.

ევროკავშირში ბინადრობის ნებართვა და შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილება და ან გაფრთხილების გადაწყვეტილება.

გაქვთ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში ბინადრობის უფლება? და გაქვთ გადაწყვეტილება ნიდერლანდების ხელისუფლების მიერ მიღებული შესვლის აკრძალვასთან დაკავშირებით 2 წელზე მეტი ვადით. და ან გაფრთხილების გადაწყვეტილება? ამ შემთხვევაში ნიდერლანდების ხელისუფლება მიმართავს ევროკავშირის ქვეყანას თხოვნით თქვენი ბინადრობის ნებართვის გაუქმების თხოვნით. და თუ ევროკავშირის ქვეყანამ თქვენი ბინადრობის ნებართვა გააუქმა, ამ შემთხვევაში მხოლოდ SIS სისტემაში იქნებით მოხსენებული უკან დაბრუნების და შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილებით. თუ თქვენ ბინადრობის ნებართვას შეინარჩუნებთ იმიგრაციის სამსახური გააუქმებს შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილებას. და შეტყობინება შეაქვს E&S -საინფორმაციო სისტემაში. იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირის ქვეყანამ მოგვიანებით მაინც გააუქმებს თქვენ ბინადრობის ნებართვას, IND-იმიგრაციის სამსახური ამ შეტყობინებას SIS საინფორმაციო სისტემაში შეიტანს.

5. როდის წაიშლება თქვენი მონაცემები SIS ან E&S-დან?

- როდესაც დაზუსტებულია რომ შესვლის აკრძალვის, ან გაფრთხილების გადაწყვეტილების ვადა ამოიწურა. და გამგზავრების შემდეგ თქვენ აღარ დაბრუნებულხართ.
- თუ IND იმიგრაციის სამსახური ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ თქვენ შესვლის აკრძალვის გადაწყვეტილების მერე ბინადრობის უფლება მიიღეთ რომელიმე ევროკავშირის ქვეყანაში. ამ შემთხვევაში იმიგრაციის სამსახური შესვლის აკრძალვას და გაფრთხილების გადაწყვეტილებას აუქმებს SIS საინფორმაციო სისტემიდან. საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების შემთხვევაში, შეიძლება ხელისუწლებამ შეტყობინება შეიტანოს E&S საინფორმაციო სისტემაში გაფრთხილების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.
- თქვენ მოითხოვეთ შესვლის აკრძალვის და ან

შეტყობინების გადაწყვეტილების გაუქმება. და ეს განაცხადი დადებითად დამტკიცდა. კითხვა მე-9 პუნქტის ქვეშ იხილავთ განმარტებას თუ როგორ მოითხოვთ ამის გაუქმებას. შესვლის აკრძალვას, ან გაფრთხილების გადაწყვეტილების დროებითი გაუქმების შემთხვევაში გადაწყვეტილება შეტყობინებასთან დაკავშირებით დარჩება SIS ან E&S საინფორმაციო სისტემაში.

6. რა მოხდება ქვეყანაში შესვლის აკრძალვის შემთხვევაში თუ თქვენ ისევ ნიდერლანდებში ხართ?

ნიდერლანდებში მოგზაურობა და ნიდერლანდებში ყოფნა არის დასჯადი. შეიძლება თქვენ მაქსიმალურად 6 თვით თავისუფლების აღკვეთამოგესაჯებად, ან რამდენიმე ათასი ევროს რაოდენობით ჯარიმა. ამის შესახებ მოხსენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 197 მუხლში, და უცხოელთა კანონის 108 მუხლში. ეს დამოკიდებულია თქვენს მდგომარეობაზე. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ IND - იმიგრაციის სამსახურში ან სასამართლოში შეიტანოთ სარჩელი. გადაწყვეტილებაში მინიშებულია თუ როგორ შეიძლება ამის მოგვარება.

7. რა უნდა გააკეთოთ, თუ არ ეთანხმებით შესვლის აკრძალვის ან გაფრთხილების გადაწყვეტილებას?

თქვენი მდგომარეობიდან გომომდინარე შეგიძლიათ IND-იმიგრაციის სამსახურში გაასაჩივროთ ან სარჩელი შეიტანოთ სასამართლოში. გადაწყვეტილებაში მინიშნებულია თუ ამას რანაირად მოაგვარებთ.

8. როდის იქნება თქვენთვის კვლაბ შესაძლებელი ნიდერლანდებში მოგზაურობა ?

- თუ ხართ დარწმუნებული რომ შესვლის აკრძალვის, ან გაფრთხილების გადაწყვეტილების ვადა ამოიწურა.
- თქვენ თხოვნით მიმართეთ შესვლის აკრძალვის ან გაფრთხილების გადაწყვეტილების გაუქმებაზე, და დადებითი გადაწყვეტილება მიიღეთ.

9. რანაირად უნდა მოითხოვოთ შესვლის აკრძალვის, ან შეტყობინების გადაწყვეტილების (დროებითი) გაუქმება?

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ შესვლის აკრძალვის და ან გათრთხილების გადაწყვეტილების გაუქმება. მაგალითად იქიდან გამომდინარე რომ ნიდერლანდებში უნდა იყოთ იმ დროს როდესაც თქვენ შესვლის აკრძალვა ან გაფრთხილების გადაწყვეტილების ვადა ჯერ არ ამოიწურა. განსაკუთრებული და გადაუდებელი მდგომერეობაში თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ გადაწყვეტილების დროებითი შეჩერებას.

მაგალითად, რადგან ამ შესვლის აკრძალვის და ან გაფრთხილების გადაწყვეტილების ვადა უკვე დასრულდა. და IND-იმიგრაციის სამსახურმა არ არის ინფორმირებული იმის თაობაზე რომ თქვენ ნიდერლანდები დატოვეთ, რადგან E&S-საინფორმაციო სისტემაში ხართ იდენტიფიცირებული. ან თუ IND იმიგრაციის სამსახური არ არის ინფორმირებული იმის თაობაზზე რომ თქვენ ევროკავშირი დატოვეთ იმ შემთხვევაში თუ თქვენ SIS-საინფორმაციო სისტემაში ხართ იდენტიფიცირებული.

გაუქმების მოთხოვნის დროს განაცხადი უნდა შეავსოთ ვებ-გვერდზე *თხოვნა არასასურველობის, შესვლის აკრძალვის, ან გაფრთხილების გადაწყვეტილების შესახებ* (9004 ან 9504). შეავსეთ ფორმა და გაგზავნეთ IND-ში. ასევე მოთხოვნის გაუქმების თხოვნით მიმართვა შეუძლია ვინმე სხვას თქვენი წარმომადგენლობით. ამას თქვენ ახსენებთ განაცხადში თქვენი ხელმოწერით, რასაც მინდობილობა ჰქვია.

10. როგორ უნდა მოიქცეთ შეკითხვების დროს?

- ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს www.ind.nl/inreisverbod ან www.ind.nl/en/entry-ban.
- დარეკეთ IND -ს საინფორმაციო ხაზზე +31 88 043 04 30. მოცემული ნომერი ხელმისაწვდომია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან 17:00 საათამდე.

პუბლიკაციის შინაარსიდან არ შეიძლება მიღებული უფლებების მიღება. თუ თარგმანი იწვევს ინტერპრეტაციის განსხვავებებს, ჰოლანდიური ვერსია ლიდერობს. ამ პუბლიკაციის ტექსტი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირობით, რომ წყარო აღიარებულია.